

მეცტრი

საყოველ-კვირბა ლიტერატურული და მხატვრობითი კაზეთი.

9 მარტს

გ ა მ ო ო ც მ მ ა

№ 10

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წელით სუთი (5) მსკეთი, ნსკეგარ წელით სემი (3) მსკეთი, სსგა ვადით ხელის მოწერა არ მიადება. ცალკე სომერი „თეატრი“-ს ღირს სემი შაურა. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციასში და ქუთაისში მმ. ჭიდაძეების წიგნის მაღაზიასში. გარეშე მისოვრებთათვის აღრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ბოდის ვიხლით ჩვენ ხელის მომწერლებთან, რომ ჩვენი მხატვრის ბატ. ა. ბერიძის ავადმოყოფობის გამო, სურათის გამოცემა დაგვიგვიანდა.

წერილი მემოზართან

ხომ იცი, მემოზარო, მე იმ ჯურის კაცი არა ვარ, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ტენის მწვალელები. (ო, ამათი რიცხვი ეხლა ჩვენში ერთობ დიდია და თითქმის მთელი ქართული ინტელიგენცია თითქმის ამ ტენის მწვალელებლთაგან შესდგება! აქვე დაგუმატებთ: ურიგო არ იქნებოდა, რომ პირუტყვთა სამფარველო საზოგადოების მიხედვით დაარსებულიყო ჩვენში ტენის მფარველი საზოგადოებაცა. საილამ გადმოგვედო ეს სენი (ღმერთმა გაშროს ჩემო კარგო!) ამის გამოკვლევას რომ ეხლა გამოუდგეთ შორს წავგიყვანს; საკმარია ვიცოდეთ, რომ ყველას, ვისაც გოგრაში ნიავის მტეი არა უსისინებს-რა, საილამდაც წარმოუდგენია, რომ თავში იმდენი სიბრძნე მოუგროვდა, რომ ლამის თავის ქალა ჭერს მია-

ხეთკოს. (შთუოდ მალე უსურ-ვაზი ძლიერ გაძვირდებოდა—ამოდენა ოხერ თავებს რა წნელი გაუძღვებს მოსაჭირებლად,—და გირჩევ, ჩემო მემოზარო, შენი წისქვილის ქალაში უსურ-ვაზი აღარ გააკაფინო). ღიად, ამოდენა სიბრძნემ ლამის მამანსკის ბოთლის სახურავივით თავის ქალა ჭერსა ჰკრას, მაგრამ თავი რომ ვერ აუხეთქია, ყელში ჩამოჰჯენიათ და დადიან ჩვენნი ცრუ-ბრძენნი ინდოურებივით გაბუებულნი და სულელობის გამომაცენ თვალებს წარა-მარად აბრიალებენ. შეველა მათი ნაბიჯი და სიტყვა უთუოდ სიბრძნის ნაღები, ანუ ნაკვეთი უნდა იყოს. საბრალო ლატაკი ჰკუთა გულ-საკლავად ვევედრება: «ბატონო, რაც არა მოგიბარებია რა, რასა მოხოვ? ეს ხომ უდიარობაა! და სხ. ამიტომაც სიბრძნის მავიერ, სისულელე და სასაცილობა გამოდის. ნამეტნავად ამ სენმა ღრმად გაიდგა ფესვები მას აქედ, რაც, „ივერიამ“ ისე გააიფა სიბრძნე. რომ ეხლა ყველა დარეჯანს, რომელსაც დიაკნიანთ მაიამ ძროხის ბეჭვდ ასწავლა ანაბანა და „უფალო“, ყოველ დღე შეუძლიან „ივერიაში“ ამოიკითხოს ბუასტირა, ლარომფუკოსი და სხვათა სიბრძნე, ეხლა აღარცა ჰსმენ, არცა სკამენ, არღა სძინაეთ და ყველა იმაზეა გადარეული, რომ სანაკვესო რამე სთქვას და ბუასტების და ალციატების „ივერიადამ“ ამოზებებირებული აზრები უთაგბოლოდ არახუნოს. ამას წინათ ერთს დარბაისელს ოჯახში მომიხდა ყოფნა. აწენინა მლისაზვდი ტახტვდ მოკვეცილი იჯდა, მუნღებვდ ხავერდის მუთაქა ედვა

და ქარვის კრიანოსან ჰმარცვლავდა. მის პირ-და-პირ იჯდა ერთი ვილაც „მაიორა“ ნენე და ტკბილად ბაასობდენ. ლაპარაკი ჩამოვარდა ერთ კონცერტზედ, რომელიც ერთი ახლად დაობლებული ოჯახის სასარგებლოდ იმართებოდა: — შენ ნუ მომიკვდე, გაუბრტყელა კნენა ვლისაბედმა, თუ მადლის ქმნა გინდა, ნუ აცდევინებ: მინც მალე ჰმეველის, ერთი ორად ჰმეველისო, ამბობს ალციატი! — და თავ-მოწონებით გადააგლო კისერი. — ღიად, შენმა მზემ! ქეშმარიტი სულგრძელება მაშინ არის, როცა კაცი თვითონ იკლებს, რომ სხვას შეეწიოს, ამბობს მოარი! — მარტყა კნენას მაიორა ნენემ და უფრო მეტის თავ-მოწონებით გადააგლო იმანაც კისერი. მე ამის მნახველს და მსმენელს თან მეცინებოდა და თან მეტირებოდა ამ დარბაისელ მანდილოსანთ ტაკი მასხარობაზედ. „ივერიის“ სიბრძნემ წელიწადიც აღარ გაიყვანა და ცალკე სტატიაში (იხ. „ივერია“ № 45) აუწყა თავის მკითხველებს ამ გაზეთმა ერთის თვის განმავლობაში რამდენი რამ გაუკეთა ჩვენს საზოგადოებას. ჰეშმარიტად და გულზედ ხელ დადებით ვიტყვი, რომ ჯერ ამ გაზეთს არაფერი არა გაუკეთებია-რა იმის მეტი, რომ მისმა „ნაკვესმა“ და „დამაკვირდემ“ დაჰბადა ჩვენში რალაც სულელური ტაკი-მასხრობა და მიმუნობა.

შაკრავად, მეგობარო, ცოტა გრძელი სიტყვა მომივიდა. მე ტვინთა მწვალბელთ რიცხვში არ ურევივარ, ვიმეორებ, ბრძნობას არა ვჩემობ და საანზანო ჰეშმარიტებას უფრო ვეწიობი. მართი ამ ჰეშმარიტებათაგანი ის არის, რომ რაც კაცი გონებით დაბლა სდგას და თავის საკუთარი ცოტა აქეს, იმდენი უფრო მეტსა ჰბაძებს სხვას და ეს წაბაძვა მიმუნობავედ მილწევს ხშირად. ამ ლიტერატურული ფორმით წერა, რომელიც მე შენთან საბაასოდ ამოვიჩიე, თავ-და-პირველად ვილამაც შემოილო ჩვენში და მოხერხებულადც მოუვიდა. მიჰყენენ ეხლა „ივერიის“ ჯაგლაგები და დაუწყეს უწყალოდ ჯიჯგნა ამ საბრალე ფორმას. ბანშირდა მეგობართან წერილები ობილისიდან თვირანს, ობილისიდან პეტერბურლს, პატასთან, ლუარსაბთან და სხ. და სხ. მერწმუნე ეს წერილები არაფრით გაირჩევა იმ წერილებიდან, რომლებიც ასე თავდება ხოლმე:

«მა წიგნი კრელია, შენთვის მამიწერია.

ბულბულს მხარზედ გამოვები, შენთვის მოუერთმევი!»

მათ შორის მაინც პირველი ადგილი ობილისი-დან თვირანს მოგზაურს, ბ. მოლა ბაშირს უნდა მიუ-საჯოთ, თუმცა ეს რიგანი გამომკვლელი ჩვენის ძვე-

ლის იურიდიულის ნაშთებისა. მეტად უკბილო და წყლიანი რამ გამოდგა ამ ახალს სფერაში. მისი ძველი გზიდან გადახვევა ჩვენ სამწუხარო მოვლენად მიგვაჩნია ლიტერატურაში. ახალს ფსევდონიმს ამოფარებული ბ. მოლა ბაშირი ჰკვიანი კაცია და, — ჩვენ გვაკვირებს — იმას როგორ არ უნდა ესმოდეს, რომ იმ უხილავ ძალს, რომელსაც ბუნებას ეძახიან, ყველასთვის თავისი ადგილი მიუსაჯავს და ამიტომ, ესთქვათ, კაველინს სულ ტყავიდამაც რომ ამომძვრალიყო არამც თუ შეედრინობა, ბურენინობაც არ შეეძლო აქაც კი შეეძლო მოლა ბაშირს თავისებურება დაეცვა, მაგრამ უფრობასთან და უკბილობასთან ის კიდევ დამქაშობს და ტაკი მა ხარობს «ივერიის» ბობოლის მოსაწონად. ამ ახალი მეჩითის თავიდან ნამდვილი მოლა გრგვინავს და წყველა-კრულავს უთვლის მართლ-მორწმუნეთა ლიტერატურული უზრდელობისათვის. მეჩითის ძირს ამოსტუფვია ეს თვირანელი დავრიში, ჩვენი მოლა ბაშირი, და უთავბოლოდ ჰალა, ჰალას! — გაიძახის. „ივერიის“ შეიხ ულისლამი უქადაგებს თვის მორწმუნეთ, რომ მათი ვალია რაიმე წამალი გამოიხაზონ მისი ლიტერატურული მტრების აღმოფხვრისათვის, და ეს უბრალო ყაზი, მოლა-ბაშირი, ძირიდან შესძახის, რომ მათი აღმამფრთხელები ლიტერატურული მიმართულება «ძირიანად უნდა ამოვარდეს, ვითარცა ღვარძლი» (იხ. „ივერიის“ ფელტონი მე 43 №-ში). შეიხ-ულ-ისლამი ზევიდამ აიშვლოვნებს თავის მრევლს, რომ ბაშირბუხუყების შემოხვევა ჩვენს ლიტერატურაში დროებითი უბედურებაა და მაგისთანა მჯღაბნელებს „ჩაილულის წყლიდამ არაფერი იხსნისო“, მისი ტაკი მასხარი ყაზი მოლა ბაშირი ძირიდან შესძახის, რომ „ესენი“ ჩვენს ლიტერატურაში ფხვს ვერ მოიკიდებენო და თავის თავად გაქრებიანო... ხახა დაღებულნი მსმენელნი ამდენ სისულელეს ყურს უგდებენ და ჰალა, ჰალას გაიძახიან. მათში აღარ მოიბოგება ერთი გაბედული მოლა-ნასრდენი, რომ გამოვიდეს და ამ ჯამბაზს და მის ტაკი მასხარას უთხრას: ბატონებო, იქ არტა-ლა და ყაბლუ-ფლავი გიცვიდებათ, თქვენ აქ რალაც სისულელეზედ ჰლაპარაკობთ. მთუ თქვენი მტერი ჰიანი ვაშლის მეტი არაფერია, მაშ დააცათ, ნიავი თითომ გააგდებინებს. თქვენ ან თავს რაზედ იწუხებთ, ან ამ საწყალ ხალხს გულს რისთვის უხეთქებთ? თან ამბობთ, თვით ანტი ქრისტე ქვეყნად მოსულაო, თანაც ბატონთ, რომ ანტი ქრისტე კი არა ერთი ჰიანი ვაშლიაო!..

ღიად, ჩემო მეგობარო, სინდისი სული იარალი და მაშენებელია, ლოგიკა ჰკუისა. (ამ აფორიზმის „დამაკვირდემში“ ჩაწერა კანონ მდებლობის 000003

მუხლით აღკრძალულია!) ერთსა და იმავე ღროს სა-
 ზიზღარც არის და საცოდაიც კაცი, როდესაც ამ
 ორივე უმალლეს ნიქს მოკლებულია. ამ შიშით თავ-
 ზარ დატყეპული ცრუ-პენტელა გამირების ბაქიაობა და
 ტყუილი ყოყოჩობა ერთს ვოდვეილს გაგონებს, სა-
 დაც ჩვენი ნიქიერი არტისტკა საფაროვისა ის ხელოვ-
 ნურად ჰხატავს ცალკე ოთახში მომწყედელულს ახალ-
 გაზრდა ქალს, რომელსაც ფანჯრიდამ ყაჩაღები უც-
 ვივიან. შიშით ლამის თვალები წამოსცივდეს, სული
 ფრჩხილებში გაეპაროს, ყელი ისე შეუხუთავს, რომ
 ძლივს-ღა ლაპარაკობს, მაგრამ მაინც არა სტყდება
 და უნებურად ამბობს: «არ მეშინიან! სრულებითაც
 არ მეშინიან! ლმერთმანი, არ მეშინიანა!.. ნამდვილად
 კი ლამის ქაფურივით გაჰქრეს. მოლა ბაშირის აბდა-
 უბდას არ გამოეციკდები. ზნეობით მოვალედ კი ესთელი
 ჩემს თავს ერთი მეგობრული რჩევა მივსცე: როგორც
 დაიწყო, ისევე განაგრძოს თავის გამოკვლევა მახტან-
 გის კანონებისა, დასტულამასი და სხვ. თორემ ამ
 იარაღით ჩვენთან ბრძოლა იმას დაფნის გვირგვინს
 ვერ დაუმსახურებს, ამიტომ რომ,—მგონია, ცრუ
 კვენაში არ ჩამომართმევ, ჩემო მეგობარო,—ეს ია-
 რალი ჩვენს ხელში ყოველთვის ლახტი იქნება და მის
 ხელში უნებრო ჩოგანი.

დავით სოსლანი.

თეატრის

«დაბაპირლი»!

გირმა ხალა მოკლიჯა, ერთი სხვას დაჭკრა და
 ათასი თიან დაიკრათ.

(ილ. ხა...ი)

ტილო წუთის სოფელო
 ძაცს აქნევიან რასაო?
 დევ-გმირს შეუკრავ ხელებსა,
 აგმირებ მუთაქასაო!..

(ვ. ყაფშიძე)

იქვე მერჩინა, საც ვიყავ,
 სულ კართოფილი მეთონა,
 მინამ აქ „ივერიაში“—
 სხვისა ნალექი მეცონა!

(ი. აღუქაინდროძე)

გოშას ჩივილი

(ბ. ილ. ხონელს)

ღმერთო მაღალო ძლიერო,
 მინდა გილოცო გეაჯო:
 რაც მე ტოტია მომაგო,
 ბთხოვ ჩემს პატრონს მიუსაჯო!

აეი რამ იყო ტოტია,
 ბოხვერა ძალი—ავეია,
 მინც მას გაუკანდიერდა,
 შევლას ყურები ახია!

მრთხელ ტოტია ავ-გული
 ძარს იწვა თავისთვისინა;
 ჩემმა პატრონმა ურჯულომ
 იმაზედ მიმისინა.

აეწკავეწკავედი, გავეგულისდი,
 ჩემს საუბედუროდ აესტყდი;
 სიბრძევეთ გალაღებული,
 ტოტიას ზურგზედ შეეხტი.

წამომივარდა ავ-გული
 (რაც რომ დამმართა ახია):
 ძურქი ზედ შემომავლიჯა,
 ორივე ყური ამახია!

აეწკავეტუნდი, ვივაგლახე,
 (ძვირად დამიჯდა ომობა)
 პატრონისკენ მივაშურე,—
 იმას ესთხოვე ქომავობა.

ზავდეთო!—ღიძხა,
 უყურეთ ამ წუწეს და ბრიყვსო!..
 რაც რომ ტოტია მომაგო;
 შენი თხელი ქვეისა გპირსო!

მეშჩერსკის შემავედრევეთ,
 ნუ მოჰკლავ-თქო იმ ბრიყვ წუწესა:
 წამალი გამამიგზავნოს
 უმკურნალოს ამ ჩემ წყულუსა!

ტილიუჭურა.

ნამდვილათს სწორია: დავით სოსლანი.

* *

(მუშლანი ი. ბ. შ—ძს)

სმა-ქამისთვის, ტანთ-ჩაცმისთვის
 დახადება ღირდა განა?

სწავლისათვის მოსაძიებელია
 „თეატრი“
 ანუ
 „დაბაპირლი“

თუ ვერ ვხედავ სხვა მიზანი
უნდა ვიკრა გულში დანი!

წამატება, იდეალი,
თუ არ არის სიტყვის მტკიერი,

თუ რომ ცხოვრების მიზანი
ჭკუებისა შეგნება არი,
მაშ რად ჰყვიროდა საკრატე;
რბიკვლები უკავლის უმეტარი!

შეატყვინოს ეს უფრო;
ვინც დიანში დაიბუდა,
გერ გაიგო, რომ დიანთან
განდა ჭამის მძიე გუდა!

სმა-ჭამისთვის, დიანისთვის,
დაბადება ღირდა განა?
თუ ვერ ვხედავ სხვა მიზანი
უნდა ვიკრა გულში დანი!

ა. რევაშვილი.

პატარა ფელტონი

(წერილები გურიიდან)

I

მედრობის კვირა, კვირა ცოდვით მონანების
და სულის საქმეთა შედგომისა სადარბაზოდ გვეწვია
და მოითხოვს ნებისითი ხარკს ჩვენთაგან, რომელნიც,
ვითარცა სუსტნი მოკვდანი, ასე თუ ისე, აღვირ
ახსნილ ხორცს უკმოუხედედელად ვაცურებდით თანა-
მედროვე, კუქის აღსარების თაყვანის მცემელ ცხოვ-
რების მორევი...

მხლა კი მეტი ჩარა არ არის, თუ არ გვინდა
სახარების შეიდ წარმაც ქალწულებსავით, ზეციერ-
მა სიძემ მოუშადებელი გენახოს, ჩონგური თაროზე
უნდა შემოვლეთ, დამბაჩები ბელყოშიდან ამოვიძ-
როთ, გულიდან ყოველივე შური, სიძულელი და
ლაფლობა მოყვარისადმი ამოვიღოთ, დავიფიწყოთ
მრწამსი კუქისა, შევეუდგეთ მრწამსსა სულიერს, მცნე-
ბას მაცხოვრისას, რომელმაც კაცთა ჰუმანობა სარწ-
მუნობა დაფუძნა უკვდავის სიყვარულის საფუძველ-
ზე, მოვინანიოთ ცოდვები და ვითხოვოთ ის,
რის თხოვნასაც დღემდის, იქნება, არც კი ვფიქრობ-
დით...

ჰოველს ქრისტეანს, მოგვხსენებთ, ნება გვაქვს—

ეს ჯერ არ აღუკრძალეთ—ლოცვაში ლმერთა ის
ესთხოვოთ, რაც გესურს, და რასაც გულის კუნძულ-
ში ემაღლეთ... ჩვენ, გურულებს, საზოგადოთ რომ
ესთქვათ—პირ-და-პირობა და გულ-ახსნილობა ძვე-
ლადგანვე მოგვდგამს. მაშასადამე, რა კი ამისთანა
მარჯვე დრო მოგვესწრა, რომ ჩვენი გულის დარდე-
ბისათვის მალამოს დასადებლად ზეციურ მამას შეგვიძ-
ლია მიემართოთ კვლავინდებურზე უფრო თავისუფ-
ლად, ნულარ ვიჟმათობთ—ბარემ საჯაროდ წარმოვ-
სთქვათ ის, რისგან ხსნასაც სულითა და გულით მი-
ვესწრაფებით.

რაც იყოს, იყოს მაგალითს, ამ შემთხვევაში,
მე ვუჩვენებ ჩემს მოძმეებს; სულს ქვეშე ვამბობ რომ
ჩემი სურვილი და თხოვნა საბაოთა ღმრთის წინაშე
ეს არის—

პატივს ესცემ ღიდალ ჩვენს მწიგნობრობას,
მისს მშრომელთა ღვაწლს, სულგრძელ მხნეობას;
მაგრამ უნიჭო მწერალთ რევენობას, —
შემეცარ კალმით მათს მეტიჩრობას
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

მიყვარს თეატრი. ჩვენსა ნიჭიერს
მსახიობთა დასს ვუქვებ თამაშსა;
მაგრამ მათსავე ყოველად ნიჭიერს
ინტრიგებს, ქირღვას, ხრიკთა მანკიერს—
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

ბული სუსტი მაქვს—უნდა გამოვტყდე—
მრთს ქალსა ვეტრფი, სულს ვწირავ ტრფობას,
მაგრამ მისს მშობლებს, ანგართ მოყვარეთ,
და გვირგვინის წილ, დიღვეში ჯდომას—
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

არ დავიქადებ, მხოლოდ კი ვიტყვი:
არ ვიცი შიში რა არის; მაგრამ
თეონილას*) ყბას, აღიდებულს წყალს,
მერაბის*) შარს და ზავთრის სამართალს
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

ჟ.

*) თეონილა და მერაბი, როგორც სთქვენს აჭიქლმა
მეითხავებმა რომელთ გამოისობით ერთი აჭიქლი კაცი მოკვდეს
და საქმე ოზურგეთის გამომძიებლის ხელშია, სახელებია იმ
როკაპების, რომელნიც მათის სიტყვით სვანეთში ბუნავდებენ.

ავტ.

მოტაცებული!

(მწყემსის ნაშობი)

I

სალამო შემგლისფერებულ იყო, როდესაც მე და ჩემმა მეგობარმა, მთელი ღლით წანწალის შემდეგ, ალაზნის პირას დავედეთ ბინა ღამის გასატარებლათა. სალამო საამური იყო: ხეები რომელნიც მშვენიერათ დაეწრდილებინა ღალესტნის მთის წვერებს, საუცხოვო სურათს წარმოგვიდგენდნენ თვალ წინა; იქვე უჩინარი ბუჩქებიდან ფრინველების სტყენა და ქიკიკი, სრულებით ანაურებდა ამ მიღუმებულს, მიყრუებულ სალამოსა... აგერა, ამოანათა ღამის ღამპარმა და საუცხოვოთ განათა გარე მიდამო; იქ სადაც აქამდისინ სიბნელე ნეფობდა და ხენი სრულებით ჩამობნელებული იყენენ, ესლა საამურათ ჩაეშვა მთეარის ნათელი სხივი და საოცარის მანქანებით შეამკო მთის დაბალი ფერდობები! მშვიდი ნიავე შეებო ხეთა ფოთოლთ და ღამაზ შრიალთან, თითქო ისინიც კი სულდგმულათ გარდააქცია; აქამდისინ ჩამოღვრემილნი, ალერსით შეახმაურა და ტოტები ნაზათ შეეხნენ ერთმანეთსა... ალაზნის ნადიმ და თითქო საიღუმლოთ მოსიარულე ზვირთებს, გადააფინა მთეარემ ზედ თავისი სხივი და შეებზასთანავე წინწკლები მარგალიტის მსგავსათ შეათამაშა; აქ კი მოგვაგონდა პოეტის სიტყვები და უფრო ღრმათ შთაფინერგევით გულშია:

მხოლოთ ნიავე მთისა მოლხენით
 ტყეში ფოთლებთან ღაქღანდარობდა
 და ალაზანი შეუბოვარი
 ჩიოდა, თითქო კაცს ემღეროდა.

ძარგა ხანს და ძრიელაც კარგა ხანს შეეცქეროღლით მე და ჩემი მეგობარი ამ საოცარ სურათსა, ოცნებისაგან გატაცებულებს ვინ იცის, ჩემო მკითხველო, სად არ მიეყვანდით ფიქრებსა, რომელ შეუძლებელზედ არ გვაფრინდა იგი!.. მაგრამ, რაკი ღამე აქ უნდა გაგვეტარებინა, ამიტომაც შეუღლებით ჩვენ საქმესა და ცოტა ხნის შემდეგ, ღაზათიან ცეცხლა პირას ვიყავით წამოწოლილები.

ძაცის სიცოცხლეში ერთ უკეთეს ღროთ უნდა ჩაითვალოს ნადირობა! იმ უმაღლეს სიამოვნებას რომელსაც ტყეშია ჰგრძნობ, ძნელათ მოიბოვებ ამ ჩვენს ერთ გვარს ცხოვრების მიმდინარეობაშია. მაშინ სულ სხვა ჰაერითა ჰსუნთქავ, სულ სხვა აუარებელი ფიქრები გიღვლავენ თავში, რომელნიც

ნათლად გიხატვენ შენს ცხოვრების ჰორიზონტსა და უკმაყოფილოთ შესტყერი მასა... „მერე, თითქო გებზრდება, თითქო გეზიზდება კიდეც იგი და უმადურის სახით აშორებ თვალმბსა... მაგრამ ტყე და ნადირობა—ნადირობა და ტყე“—ეს სულ სხვაა! აი, თოფით ხელში დასდინარ ტყეში, ტყეში სადაც ბუნების შემძლე ძალა შენ თვალ წინ, ათას ფრათ არის გადაშლილი, საიღამაც შენედავ, რას დააქტერდები რომ ოცნებიდგან არ გამოაჰყვანდე, არ გაკვირებდეს ყოველისფერი! შეზხედე თუნდ მაღალ და თვალ აუწვდენელ ხეებსა, დააქტერი შენს ფერხთ ქვეშ მშვანე ხავის ფრათ ბიბინა ბალახსა, დაჰხედვი იქვე ნაკადულსავით მორბედ წყაროს მარგალიტის მსგავს წინწკლებს, შეახამე ესე ყოველივე ერთათ და ნათლად წარმოგიდგება მთელი ხელოვნური მოქმედება ბუნებისა!..

მს კიდეც არაფერი. ღაუმატე ახლა ამას სხვა-დასხვა ფრინველების საუცხოვო ხმა, ხოხბის ღაზათიანი ყრიყი და მაშინ ხომ სამზღვარი არა აქეს შენს ოცნებას, შენს ბუნების ნეტარებითი დატკობას!.. აგერა, ჰხედავ რომ ხის მარტივათ გამოშვებულ ტოტზედ, ღამაზათ წამომსხდარან ხოხბები და პატარასავით მოუღვრებიათ ყელი, შენ მაშინათვე მოიძარჯვევი თოფი, გულმა აჩქარებით დაგიწყო ცემა და მუხლის თავებზედ დამდგარი რატო ნახევარი ვერსი არ ეპარები; სულ განაბული, თითქმის მიწაზედ გაკრული მისცოცავ, ბალახებსაც კი ხელით აქეთ-იქით იშორებ, თითქო გენანებოდეს ფეხის დასადგმელათა, მისდინარ, მისდინარ და ძლივს! მიატანევი თოფის მანძილსა, სჩერდები; უფრო ხერხიანათ იჩოქებ მუნლის თავებზედ, მოიძართე თოფი... მაგრამ, აგერა ხოხბებმა უკვე შეიფთხრიალეს მაღლა, გაშალეს ფრთები და ყრიყინით, თითქო დამცინოდნენ, გასწიეს სხვა მზრისაკენა, სადაც მათ ძნელათ-ღა იბოენი. ოღოლოთ დარჩენილი იღებ თოფს და მისდევე ახლა სხვა ბილიკებსა...

მსთქვათ, ჩვენსავით, შემოვიღამდა ტყეში, გიბდება იქ ღამის გატარება. მით უკეთესი ღრო მონადირესათვის! აი, მთელი ღლით დაქანცული, აქა-იქ ჰკრეფამ ხმელ შეშებსა, ანთებ ცეცხლს, იქვე შორი-ახლო დაყრილან შენი საყვარელი ძაღლები, შენც მოსწოლინარ ცეცხლს ღაზათიანათ და ფიქრებისაგან გატაცებული, შესტყერი ჰაერში თავისუფლათ მორბენალ ცეცხლის ალსა... აგერა ამოვიდა მთეარეც, მოტრფეს მსგავსათ მოგაფინა ცრიატე სხივი, შენს მახლობელ ბუჩქებიდგან დასძახეს ღამის ფრინველებმა და ჰარმონიულის ხმით დაუწყეს შეხმაურება, ტყეში ჩათვლემილ სალამოსა...

მხ, ჩემო მკითხველო, რომელი დრო უნდა შედაროს ამ საუცხოვებს, რას შეუძლიან დავაჯობოს კვალთ ასე საამუროთა! „მს საუცხოვო სურათია! აქ უმაღლესი ნეტარებაა სამზერლათა!“

II

მეორე ღამის გატარება ჩვენ მოგვიხდა ერთს მწყემსთან, რომელსაც შემთხვევით დაუშვებოდა გზაშია. ჩვენი ახალი გაცნობილი მწყემსი წამოსადეგი კაცი იყო; იმისი გამომეტყველი თვალები და მოციწარე პირის სახე ცხადათ გვიმტკიცებდა, რომ იგი «გულ-კეთილი» კაცი უნდა ყოფილიყო, არ იყო ახლ-გაზდა და არც მოხუცებული: იმისი განიერი მხარბეკი და ჩახსმულება, გრძელი და ცოტა ქალარ შერთული წვერ-ულვაში ხომ, სრულებით ამშვენებდენ ისეთად მიმზიდველ სახესა. მნახველს ის სწორეთ რომ ქართველს, მხოლოდ უწინდელს ქართველს წარმოგვიდგენდა თვალ-წინა, ყოველ ჩვენ კითხვანედ, ყოველ დალაპარაკებანედ ისეთ მოსწრებულ და გონიერ პასუხს გვიცებდა, რომ სრულებით გვაფიქრებდა ჩვენ იმისი მწყემსობა და, თითონ ჩემმა მეგობარმაც მითხრა:—გამიგონე! იქნება ბედს განგებ ჩავგდოს ეს კაცი, ამ გვარ ცხოვრების მორვეში, მაგრამ ჩვენი იქნეულობა მალე სულ ტყუილი გამოდგა და ის დაბადებთვე მწყემსი იყო, როგორც თითონ გვითხრა შემდეგში.

ჩვენ და ჩვენი ახალი მეგობარი იმის ცოტადენ ცხვარს მძიმეთ მიედევდით უკანა. საღამო ჟინჯლიანი იყო; დაჰბერა ამასთანავე ნებათ მოქრიალე ნიავმა და წვიმას საამუროთ გვასხურებდა პირზედა და დღისით მზისაგან შერუყლულ სახეს ლაზათიანათ გვიგრილებდა.

აგერა მივალწიეთ ჩვენი მეგობრის ქოხსაც. ქოხის წინ მშვენიერ დავებულს მწვანეანზედ სწრაფლ დავყარა ცხვარი, იქვე გარშემო შემოუწვენენ ძაღლები და ჩვენ კი მეგობარმა შეგვიწვია ქოხში. ქოხი სულ ექვსის ბოძისაგან იყო შემდგარი, ზედ ბლომათ წაყარათ ბეანტში მოქრილი ჩალა და ისე ხელოვნურათ იყო დახურული, რომ მართლა მთელი დღე და ღამე ეწვივნა, იქ სრულებით უფიქრელნი და არხეინათ უნდა ყოფილიყავით.

— ნურა გეფიქრებათ რა, თქვენი ჰირიმეთ, ნიავლვარი რომ ვასქდეს აქ წვიმა არ ჩამოგვივა; ამა, იქნება ბოლმა თუ შეგაწუხბოთ, თორემ სხვა ფიქრი არა გვაქვს, მხიარულათ და კეთილ მასპინძლის კილოთი დავიწყო ლაპარაკი.

— ნუ შესწუხბები ჰარამან (ამ სახელით გავცნო თავისი თავი), ხომ გავიგონია: „ვისაც თვეში

უნდა, ფეხებიც სველი უნდა ჰქონდესოა. ჩვენ, როგორც მონადირენი, ბოლსაც შეჩვეულნი ვართ და ავდარასცა, მიუგეთ ჩვენც მხიარულ მასპინძელსა და ჩამოვსხედით ცეცხლ ნაპირს პატარა სამ ფეხა სკამებზედა.

— მაშ თუ ვერა, სხვა ღვთის მოწყალება ბერი გვაქვს, თქვენი ჰირიმეთ! ჰაურმა, რძე და ყველი ხომ სამყოფია.

— არაყი კიდევ ჩვენა გვაქვს, მასპინძელო! მორივემ მხიარულათ შევძახეთ ჰარამანსა.

ცეცხლა პირს გარშემო შემომსხდარნი, სიამოვნებით უტკეროდით ლაზათიანათ გაძრიელებულ აღსა. გაძრიელებულ ცეცხლს, გაძრიელებული ბოლიცა ჰქონდა, სახლი (თუ შეიძლება ზოგი ერთა ქოხს ასე უწოდბოთ), სრულებით აივსო ბოლითა და არ იყო რომ ჩვენმა თვალებმა მალე იგრძენს აუტანლობა, მაგრამ, რას ეიზამდით, ნება უნებურათ უნდა ავეტანა!

— ღურიჯ! ღაუძახა მასპინძელმა თავის ცოლსა, რომელიც კარში იყო და წერილ ბატკნებს ფარეხში აბინავებდა.

ჩვენთვის ამ უცხო სახელის წარმოთქმამ, ცოტა არიყო ცნობის მოყვარობა აღვიძრა და დავეკითხვეით მასპინძელსა:—ეს ქართული სახელი არ არის და საიდგან მოიგონა თითონ ამ უცნაური სახელის დაძახება თავის ცოლისათვისა?— ჩვენს კითხვანედ ცოტა არ იყო გაიღიმა, გადისო უშობლზედ ხელი, აიწია თვალებამდისინ ჩამოჩაწული ტყავის ქუდი და თითქო რალაც სიამაყის გამომეტყველობით მოგვიგო!

— თქვენ მართალი ხართ! მს ქართული სახელი იმიტომ არ არის, რომ ის ქალი—«მოტაცებულია»!

— მოტაცებულია? მორივემ ერთათ დავეკითხეთ მასპინძელს თავისივე სიტყვა.

ამ მოულოდნელმა სიტყვამ უფრო ერთი ათათ გააფართოა ჩვენი ცნობის მოყვარობა და დაუწყევით თხოვნა, რომ ეამბო ჩვენთვის თავისი თავ-გადასავალი და ამასთანავე ისიც, თუ როგორ, საიდგან და რარბანა არის ქალი მოტაცებული. საზოგადოთ და ჩვენშიაც მწყემსი ხალხი ძრიელ მოსაუბრენი არიან და არასოდეს კაცს არ დაჰზარდებან, რომ ერთი მეორის, თუ თავიანთი თავ-გადასავალი მოუთხრონ სხვას და ასე და ამ რიგათ გარდასცენ რომელიმე შემთხვევა. ჩვენ ახალი მეგობარი და მასპინძელიც მწყემსი იყო და რასაკურველია არც ესაგადაუდგებოდა საერთო ჩვეულებასა, არც ესაგვეტოდა უარს რომ გავზიარებინა ჩვენთვის ის, რაც თავის სიკაბუკში გადაჰხედია თავსა და ის უფრო უმეტეს, რო-

გორ და რა შემთხვევით მოიტაცა ქალი უცხო თვის-
ტომობისა.

მასპინძლის ძახილზედ შემოვიდა იმისი ცოლი
ღურიჯი. წარმოიდგინე მკითხველო, ქალის მშვენიე-
რი წამოსადგვის ტანი, მსხვილი მხარ-ბეჭი, მრგვალი
პირის სახე და შავი ღიღორი თვალები, რომელსაც
ზედ შხირი ქერა წარბები სრულდებით ამშვენებდნენ
ისეთაც ლამაზ და მიმზიდველ სახესა. მოკლე ტყავი,
„ლეკური წინდები“ და ფეხის კოჭებამდისინ წმინდა
შალის კაბა შეადგენდა მთელ იმის ტანთ-საცმელსა;
ქალის ასეთმა სიმშვენიერემ, ჩაცმულობამ და ცქრია-
ლა მიხერა-მოხერამ დაგვარწმუნა იმის უცხო გვარ-
ტომობა და ამათს თავ-გადასავალის ამბავს, უფრო
სული მწარეთ მოველოდით როგორც მე, ისეთაც
ჩემი მეგობარი.

კ. აღისუბნელი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



დედა და შვილი

(სიმღერა)

ერთს დედას ჭყავდა შვილი ღამაში;
მშვენიერება, ნარნარი, ნაზი.
ბუღბუღივითა მშვიდი და წყნარი;
არსად შთენილს მის შესადარი.
სადამორეულე—მისი დასავალზე
დედა მოვიდა თავის სასლ-კარზე.
შვილი მიიკრა მოყვარულ მკერდში
და სიყვარულით აკოცა თვალში.

დედა

შვილო! ვთხოვილობს კაცი მდიდარე,
ოკვასი კარგი—ბიჭია დარე.
სომ იცი რომა შენი ვვირგვინი
ჩემთვის იქმნება ადგომის ღსინი.

შვილი

რას უბნობ, დედა! რას მეუბნები,
მე დარე ბიჭსა როგორ გავუკეპი.
სასლი და კარი წყად წადებუელი—
თუ მოისარშვის უდროვად გული.
მე მინდა ბიჭი, ბიჭი მალსაში,

მორცხალივითა ცქვიტი ღამაში.
სასლის კარებზე, რომ შემოაღებს,
მშიერიც ვიყუე, გამასხალისებს.
მარდად ჩამავკენს იგი კალთაში
შამოქსევევ, მაკოცებს თვალში.
დედა! ნუ მაგდებ გლასხკის სელში
გერ გავისარებ მე ჩემსა დღეში.

რ. აღისუბნელი.



თეატრი და მუსიკა

კვირას, 2 მარტის, „თბილისის სობრანის“ დარ-
ბაზში, გამართული იყო კონცერტი, პირველი კლასიკური
გიმნაზიის ამ დარბო მოსწავლეთა სასარგებლოთ, რომ-
მელნიც წელს ათავებენ სწავლას და შეუძლებლობის გამო
ველარ აგრძელებენ სწავლას მალაქ სასწავლებლებში. ამ მარ-
ნით უოველ წელს იმართება სოლმე კონცერტი და უო-
ველთვის დიდ თანაგრძობას იხენს ჩვენი საზოგადოება.
წელსაც არა ნაკლები თანაგრძობა გამოუჩინა ჩვენმა სა-
ზოგადოებამ დარბო მოსწავლეთ. მთელი დარბაზი გატე-
ნილი იყო ხალხით კონცერტი დაიწყო სასალსო გიმნით
«Боже царя храни», აღმსრულებელნი დიდის სიამოვნე-
ბით და აღტაცებით იყენენ მიღებულნი საზოგადოების-
გან. აღმსრულებელთ შორის გარდა რუსული ოპერის არ-
ტისტებისა, მუსიკის და სცენის მოყვარენიც იღებდნენ მონ-
აწილეობას. ბატ. ნასაპეტოვმა ჩინებულათ დაუკრა სკრინი-
კასე ჩაიკოვსკის რომანსი და ბატ. ოპოჩინინმა სელფე-
ნურად წაიკითხა რამდენიმე ლექსი. კონცერტის შემდეგ
ტანციათა გაიმართა.

თბილისის კრუეოკში ქ. ტიმანოვისაგან გამართულ-
მა კონცერტმა, ორშაბათს, 3 მარტს, დიდ ძალი ხალხი
მიიზიდა. კრუეოკის სათეატრო ზალა სავსე იყო მსმენე-
ლებით. თვით პიესების ასრულებასზე ჩვენ არას ვიტყვი,
რადგანაც გამოჩენილი პიანისტკას ნიჭი დიდი სანია და-
ფასებულათ მხელს ეგრეობაში. მსმენელნი აღტაცებაში მო-
დიოდნენ ყველა ნომრის აღსრულებით. გამოჩენილ არ-
ტისტკას ბერი ტამის კვრა და ბრავო უმდგენს. კონ-
ცერტის გათავების შემდეგ საზოგადოება არ დაშლილა
და სთხოვა ქალბ. ტიმანოვისას კიდევ ასრულებინა რამე.
პატრიცეუმელმა არტისტკამ დიდის სიამოვნებით მიიღო
საზოგადოების თხოვნა და ჩინებულად ასრულა ფანტა-
სია „სონამუღიდანა“. გუშინ თბილისის თეატრში ქ. ტი-
მანოვისამ გამართა მეორე და უკანასკნელი კონცერტი

ქ. ქ. ზარუნაძის, სმიწნოვის და ბ. იშვოლიტოვი-ივანოვის დახმარებით.

სამშაბათს, 4 მარტს, რთბილისის სობრანისა ზალაში, ერთი ასლად დაბლებულ რკანის სასარგებლოდ გამართული იყო ლიტერატურული და მუსიკალური სელამო. ამ სელამოს ჩვენმა არტისტებმაც მიიღეს მონაწილეობა. გაბუნია-ცაგარდისამ იძულებს ბაიათუბი, ბ. ალექსიევი-მესხიევი მის იძულებს რუსულად კომიკური კუბლეტები.

ხვალ, 10 მარტს, თბილისის თეატრში ერთ ასლ-გაზდა ქალის სასარგებლოდ, რომელიც კონსერვატორიაში შესვლას აზირებს გამართული იქნება კონცერტი, რომელშიც მიიღებენ მონაწილეობას: ქ. ქ. სმიწნოვისა, სვაბოდინა-ბარიშევისა, კომედა—ლენსკისა, ეტინგერი, ზენგლაუბი, რიუტინი და ბ. ბ. კინია, კარნოვიჩი, ივანოვი, მოლხანტსკი, ალენიკოვი, რაზნოვი, ფუდინოვი და რიუტინი.

როგორც შევითქვით, ჩვენი სათავად-ზნაურო ბანკის მმართველობა, აწარმოებს თეატრის განახლებას აზირებს. სტენას ადგილებს და ლოკებს უმატებენ. ურიგო არ იქნებოდეს, რომ დეკორაციები და სასცენო მუხელები განახლებინათ.

სომხური გაზეთი „არდსაგანი“ გვაუწყებს რომ წელს არსდება ასალი სომხური დრამატული დასი და საადგომებს წარმოადგენებსაც დაიწყებს. ბ.ბ. ფრიდლანდის და თავადოვის მეტადინეობით 3,000 მანეთი არის მოგროვილი ამ საქმისათვის.

ჩვენ შევითქვით, რომ ქართული დრამატული საზოგადოების მმართველობა თვითონ კისრულაბს მომავალ სეზონის წაყვანას.

ქუთაისიდან გვწერენ, რომ 23 თებერვადს კ. მესხის ბუნეფისი ყოფილა. წარმოუდგენიათ გრიბოედოვის ოთხ-მოქმედებანი კომედია „ვაი ჭკუისაგან“. ბუნეფიციანტს ჩაცვის როლი უთამაშნია. ხალხი ბევრი დასწრება.

ლილა

სტეორტნას ცის ღურჯა კამარას დილის მზემ თვის-სი ისრები— ადღგომის კვირტსებრ შელება ნაგლეჯ-ნაგლეჯი ღრუ-ლები... ბაკე დამკადარმა მთავარემ აჭკრივა მკრთალი სხივები, განჭრენ ვარსკვლავნიც, მზის სხივით ჯანინდნი, დარცხ-კენილები...

სამეარო, მრავალ იეროენად მორთული, აჭყვავებული, ამ დილით მეტად ვეგდება, მზის ეკვით განსხივებული... ისმის ფრინველთ სმა, გალობა, გრონობებით შესავებული, მათ ბანს აძლევენ ჩანჩხნით წყარონი გამალებული!

ორთქლში ესევეა მიდამო—ცარიან მდელონი შრე-ბიან;

სისენი ჭკონიან ვარდნას; კუკურნი იფურჩქენებიან; ქორფა ზურები, მწოლარნი, ნელ-ნელა ფეხზე დგებიან... მდინარნი ოქრო-ქსოვილად მათ შუა ისტებიან!..

მწყემსთ სალამურის კვილით მთა, ბარი გაფინი-ლებულა;

ფერძესტოვანი მთათ კალთა ჯოგთაგან აჭრელებულა... გუგუნებს მუშა ყანებში—მხნე შრომით გატაცებული!.. მილი გამჭრალა... ჩვეულებრ სიცოცხლე აღულებულა!..

ქვეყანა დღესასწაულაბს, გულს იტებობს ნეტარე-ბითა,

ფეტა დაჭურებს მშვენებით, სიცოცხლის მეტყველებითა— ბუნება განცხრომაშია, დარდი არა აქვს ბუნებას! მოუგლენია კურთსევა სენაასისა დიდებას!..

მატებობს, დენილსაც ეს დილა, მალხენს მგოსანსა მშვენება!

ვერ მწამდამს ამ წამს მე ხაში, სოფლის თვალთ-მაქცი ცსოვრება,

მისი სილანრე, სიცრუე, მსებობა წაწმედილება, წაღმა-უკუღმა ტრიალი, ბოროტზე მიდრეკილება!..

გ. თარელი.

ნარევი

ადმორჩეული აზრები ჭენესა, შესახებ მაღალ აზროვანს ხალხსკად.

როგორათაც ვარსკვლავები ცას ამშვენებენ, აგრეთვე მაღალ აზროვანი ხალხი თავიანთ მიწა სამშობლოს. ღიდ აზროვანი ხალხის გულერი ღედა-მიწის ვარსკვლავები არიან. როგორათაც ვარსკვლავები ბნელს ღამეს ანათებენ, აგრეთვე მაღალ აზროვანი ხალხი თავიანთ თანამემამულეთ უნათებენ. (ნ. 91).

ბევრი მაღალ აზროვანი კაცი ამოუტყმაია ამ უმაღურს ქვეყანას; ყოველ ნაბიჯზედ იმათს ნაკვალევს

ვხედავთ, რომელიც განათებულია. ბევრს ბედნიერს საათში ჩვენ სულში მოგველანდებიან ხოლმე. მხოლოდ დიდ აზროვან კაცს შეუძლიან დიდ აზროვანი კაცის დანახვა. ღიან, მხოლოდ იმას შეუძლიან იმის გულის სიოლმოეში ჩახედვა. ერთი სიტყვით, მთელს იმის სულის წყობილებას იგებს და გრძნობს. (1. 76)

ღიდ აზროვანს კაცს შეუძლიან თავის განძრახვების წინააღმდეგ იმოქმედოს, როდესაც იგი ორ გვარ სხვა-და-სხვა საზოგადოებაში არის და სცდილობს თავის აზრების განხორციელებას, იგი გარემოებას ემორჩილება, როგორათაც ფლუგერი კომუნიზმად, თუმცა რკინისაა, მაგრამ ყველა ქარს შეუძლიან იმისი ვადმოგდება და დამსხვრევა, თუ რომ ქარზედ რიგინათ არ იბრუნა, (რა სოფელშიაც შეხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო, ანდაზა). მაგრამ დიდ აზროვანი კაცი, თავის დღეში სულით ისე არ გამოიცილება, რომ თავის მემამულეთ ცუდს მიდრეკილებას გულგრილად უყუროს და უბედურობა მოუმატოს. როგორათაც ჩვენ მშობლები გვიყვარს, აგრეთვე ის ხალხი და ენა, რომელშიაც ჩვენ დაეიბადენით და მივიღეთ სიცოცხლის დასაწყისი, არც ერთი რჯული არ არის იქამდისინ მდარე და არც ერთი პოლიტიკა არ არის იქამდისინ კარგი, რომ ეს ბუნებითი გრძნობა გაგვიქრონ. (2. 219).

მხოლოდ გენიოსს აქვს ახალი აზრებისთვის ახალი სიტყვები. (3. 76).

ბენიოსის კალამი, თვით ბენიოსზედ და იმის დროებითი განძრახვებზედ ღიღია. (8. 62).

როდესაც ჩვენ გვესმის იმ ქალაქზედ, რომელშიაც დიდ აზროვანი კაცი სცხოვრობს, თუმცა ჩვენ თვითონ ვერა ვგრძნობთ, ისე წარმოვიდგენ ხოლმე, როგორათაც ქალაქის შუა გულს, ჩვენ ისე წარმოვიდგენთ ხოლმე თითქო სამქედლოებიც კი იმის დიდებით განათებულიაო, მაგრამ როდესაც ქალაქში შევდივართ მალე ვერა ვბოულობთ იმ ადგილს, როგორათაც მოგზაური ყველაზედ ადრე ეკლესიას ხედავს, მაგრამ როდესაც შიგ შედის, მრავალი წაღმა უკუდ მა მიგრეხილ-მოგრეხილი ქუჩები უნდა გაიაროს, რომ ეკლესიის კარამდის მივიდეს. (7. 134).

გამოცანები

შეკმა იმკრეთში შეკრებილი სოსიგოსაგან

1

აწივი წივის,
მესხანი კივის,

ღამი იწიწის,
ფუტურო სკადება.

2

ჩემი პატარა მანასა:
სას გაიცინებს, სას არა.

3

გარეთ ატყავს,
შაგნით ათასი

4

ახლი-ბახლი,
ვერცხლის ტასტი;
ქსით ჯიდე,
მიჯართ დავდგი.

5

სის ზურგი და
ქვის მუცელი.

6

წის ზურგი,
რკან მუცელი.

7

ჩემი პატარა ბაჭია,
სირბილით არის მსკეი.

8

ღმრს კოჭმდინ ვერ შესწვდება;
კაცზედ უმადლესი არის.

9

შიგნი გული გურგუმადი,
გარეთ განი ატყავს;
მას რომ ჯარი ასევეა
მასხუბარი ათასია.

10

ზეიდანა მოდიოდა:
უფთო, უფუნო, უფურო,
ვეტაქო? როგორ ვეტაქო?
არა და როგორ უფურო?

შეშლილი სიხვარულისაგან *)

დრმა 5 მამქედ. თსზ. ღმრ-მანუელ ტამისი და ბაუსისა

სტენა VII

ღედოფალი და ღონა მღვირა.

ელვირა. ღაბძანდით, ღედოფალო! ძალა მოიკრიფეთ.

ღედაფაღი. წვიმა, ქარმა, დალაღვამ, მოუსვენ-

*) იხილე „თეატრი“ № 9.

რობამ დამტანჯეს მე, მაგრამ გარწმუნებ, მღვირა, ეხლა კარგათა ვარ.

ელვირა. რა წინდაუხედობაა, დედოფალო! არ ვიცი რა ვქნა... მცადენით მაინც, რომ სრულიად არ გაანრისხოთ მეფე.

დედოფალი. აგერა ისიც. შენ მანდვე ოთახში დამალე, ერთად არა გენახოს...

ელვირა. მნდეთ ჩემს ერთგულობას, თქვენო ღიღბულებზე.

დედოფალი. ბაიტა სანათებელი.

ელვირა. მღვრთის მშობელო დედაო, დაგვიფარე ჩვენ! (მიდის მარჯვნივ კარებისკენ, თან სანთელი გააქვს).

სცენა VIII

დედოფალი მარტო, მერე მეფე, მასკები, შემდეგ დონ ალფარი, ალდარა და დონ მღვირა.

დედოფალი. ის ქალი იქ არის. იგი ძალიან კარგია! მხლა მე თვითონვე შემოძლიან მისი ნახვა. რას ეჩადი? არა, აქ უნდა მოუცადოთ შილიბეს. ბანა ეხლაც გაჰხედავს ჩემს მოტყუებას? ახ, რა სიამოვნებას ვიგრძნობ მე მაშინ, როდესაც დაეინახე მის პირისსახეზე გაოცებას, განცვიფრებას, მის გაბოროტებას! ღღეს ჩემი გამარჯვების დღეა! ღღახ, ეს ის წამია, როდესაც ხანგრძლივი ტანჯვანი სიხარულად უნდა გადამექცენ! აი ფეხის ხმა! მს მისი ფეხის ხმა ხომ არ არის?! ჰოველი მისი ფეხის გადადგმა ჩემს გულს ხმას აძლევს.

მეფე. (შუა კარებთან, კულისებში ლაპარაკობს) თქვენ აქ დარჩით და ელოდეთ ბძანებას.

დედოფალი. (თავისთვის) რა მამდის? სად არის ის სულის სიმტკიცე, რომელსაც ჩემში ვიგულისხმებდი.

მეფე. შევიდეთ მის ოთახში. (მიდის ალდარას ოთახში და ამ დროს დედოფალი შეჰხედება) ა, აქ დედაკაცია...

დედოფალი. (თავისთვის) იგი მიახლოვდება...

მეფე. (მივა მასთან) ალდარა. ეს თქვენა ხართ?

დედოფალი. (თავისთვის) რა ვქნა? რა უყო?

მეფე. ალდარა! (ხელსა ჰკიდებს) არ უარყოფს ჩემს ხელს.

დედოფალი. (თავისთვის) გაბედე!

მეფე. თქვენ პასუხსაც არ იძლევი?

დედოფალი. (თითქო რილასიც თქმა უნდოდა და ამის მაგიერად იციანის) ხა! ხა! ხა!

მეფე. შენ დამცინი კიდევ?..

დედოფალი. ხა! ხა! ხა!

მეფე. მღვრთო ჩემო, ეს ის არ არის! მინა ხართ თქვენ? მითხარით. სანათობელი, ფერანო, სანათობელი!

დედოფალი. მე მეგონა გულითაც მიჰხედებოდი—თუ მე ვინცა ვარ!

მეფე. მს ხმა? ო, გიცნობთ თქვენ! (გამართმევს ერთს მასკას სანათობელს, — მასკებს შორს. აყენებს და თვითონ უახლოვდება დედოფალს) დედოფალი! დედოფალი აქ!

დედოფალი. დედოფალს მაშ სადა აქვს ადგილი, თუ არ მეფის ახლო!..

დედოფალი. შედურო! შპასუხე დედოფალს... სკაშიანის ჰატრონი. დედოფალო!.. წმინდაო მფარველო!

დედოფალი. შენ მეფემ რა გითხრა?

სკაშიანის ჰატრონი. იმან მე მითხრა... იმან მე მითხრა...

დედოფალი. რა გითხრა? დაასრულე!

სკაშიანის ჰატრონი. მე გულითა მსურდა... მაგრამ არის დაბრკოლება... თქვენო ღიღბულებზე, მავატიეთ... აი რა... მე თავის დღეში დედოფალთან არ მილაპარაკენია...

დედოფალი. დედოფალი ისეთივე დედა-კაცია, როგორც სუყველანი და ბოდის ტყუილად იხდი. აბა, თქვი ჩქარა...

სკაშიანის ჰატრონი. რომა ვთქვა, მეფე ჩამოახრჩობინებს ჩემს თავს.

დედოფალი. ღა თუ არ იტყვი, დედოფალი ამაღამე უბძანებს შენს ჩამოხრჩობას.

სკაშიანის ჰატრონი. როგორ, — თქვენც ინებებთ ჩემს ჩამოხრჩობას?

დედოფალი. ამოიჩიე!

სკაშიანის ჰატრონი. მეფე ამოვიჩიო ჩემი ჩამოხრჩობა?

დედოფალი. გეფიცები პატოასნებას არაფერი დაგიშვებდებარა, თუ რომ მეტყვი ამ საიდუმლოს.

სკაშიანის ჰატრონი. ნამდვილად? მაშ აღარ ჩამამახრჩობთ? მიბოძეთ ნება ფეხებზე გეამბოროთ.

დედოფალი. თუ კიდევ მოთმინებიდგან გამოამიყვან, უარს ვყოფ ჩემს დაპირებას.

სკაშიანის ჰატრონი. ძარგი სენიორა. აქ, სასტუმროში სცხოვრობს ერთი ქალი. ძალიან ლამაზია, სახელად ალდარა ჰქვიან.

დედოფალი. გააგრძელებ.

სკაშიანის ჰატრონი. მეფე... რაც იყვეს, იყვეს... მეფე როგორც თქვენმა ღიღბულებამაც ბძანა ისეთივე კაცია, როგორც სხვები. მერე... მტერი მძლავრ-

რია... მსეა ყოველთვის. განძია სწორეთ, განძია ის ქალი...

დედოფალი. მერე?

სკაპიონის ზეტრონი. ბოლოს პაწაწინა ცოდო... სიცელქე... სასტიკათ არ უნდა ესჯიდეთ.

დედოფალი. რა, მერე. რა? მხლა შენ მოტაცებაზე ლაპარაკობდი.

სკაპიონის ზეტრონი. ღიან... იმას ამაღამ უპირებს მოტაცებას; მე ყოველივე მომზადებული მაქვს.

დედოფალი. (თავისთვის) ლმერთო ჩემო! ლმერთო ჩემო! (მალლა) სად არის მისი ოთახი?

სკაპიონის ზეტრონი. (უჩვენებს კარებზე, რომელიც კარიდარში გადის) აი აქ არის, სენიორა.

დედოფალი. თავისუფალი ოთახი ხომ გაქვს?

სკაპიონის ზეტრონი. აი აქვე მშვენიერი ოთახი გახლავთ (მარჯვენა კარებზე უჩვენებს).

დედოფალი. ძარგი. წადი შეფესთან მოვიდეს მის მოსატაცებლად.

სკაპიონის ზეტრონი. (მიდის და ისევე ბრუნდება). მითმა დიდებულებამ გიბძანა სანთელი ყველგან გააქვითო. თუ ის სინათლეს დაინახავს იფიქრებს რომ...

დედოფალი. ის სინათლეს ვერ შენიშნავს, (სკაპიონის პატრონი წაუ და კიდევ დაბრუნდება).

სკაპიონის ზეტრონი. (დაიჩოქებს დედოფლის წინ) გენაცვალე, დედოფალო, ხომ არ ჩამამახრჩობენ?

ქეფე. (სანათობელს სტოლზე სდგამს და მსკებს ეუბნება) წადით თქვენ და გარეთ მომიცადეით. აქ აღარაინ შემოხვიდეთ. როცა საჭირო იქნება, მე თვითონ გიხმობთ (მსკები გადიან. მეფე ჰკეტამს შუა კარებს) ახლა გთხოვთ, სენიორა, ამიხსნათ—თქვენ აქ რამ მოგიყვანათ.

დედოფალი. ბანა ჯერ შენ თვითონვე ვერ მიმხედარხარ?

ქეფე. მე გთხოვ რომ თქვენ თვითონვე მითხრათ.

დედოფალი. მე მოვედი იმისთვის—რომ დაგეზმარო იმ სახემწიფო საქმეში, რომლის გულისთვის შენ მუღამ აქ დაიარები.

ქეფე. (თავისთვის) რას ამბობს?

დედოფალი. ღიან, მე თვითონა მსურს გამოველაპარაკო იმ დარბაისელს, რომლის სანახავათაც შენ ამ სასტუმროში მოსდინარ ხოლმე როგორცა ხჩანს, ჯერ შენ ვერ მოგიგია მისი გული, ჯერ სრულიად ვერ დაგიმარცხებია იგი. ლეე, პირად ჩემგან გაიგოს იმან, რომ შენ მე არამც თუ მტანჯამ და მაჯაერებ, არამედ ძალიან გიყვარვარ და პატივსაცა მცემ. ლეე, იმან ჩემგანვე შეიტყოს რომ ძასტილია არ არი შენ-

გან შევიწროებული და გაქელილი, რომ შენ პირიკით ზრუნავ მის ეთილ-დღეობაზე და რასაც შენზე ავრცელებენ—ეს შენი მტრების ცილის წამებაა. ამა-საც შევეტყობინებ იმას, რომ ჩემი სახელი ტყუილად აულიათ იმათ არეულობის ნიშნათ და მიზეზათ. მე დღეს მინდა გამოგესაჩლო შენ, და ქვეყანას ვალუ-შალო შენი საოჯახო, თუ სამეფო სათნოებანი. აბა, რას იტყვი? ცუდათ არის ყველა ეს მოგონილი? რასაკერეღია კეთილი გერცოგი არ მოგელოდა ჩემს შეხვედრას. სუყველა ესე ძრეელ აზიანებს მამის ჩემის მომხრეებს—მაგრამ დროა ისპანიამაც გიცნოს შენ ისე, როგორც მე შენი ცნობა მაქვს.

ქეფე. (თავისთვის) რალა მეთქმის?

დედოფალი. პირველად ეს კი მითხარ: მინ იყო ის მანდილოსანი, რომელსაც შენ უძახდი, როცა აქ შემოხველ?

ქეფე. ბიძაშვილია სკაპიონის პატრონისა.

დედოფალი. რათ დამეძღვი იმას?

ქეფე. უნდა მეკითხნა—გერცოგი მოსული იყო, თუ არა.

დედოფალი. ღა მარტო ამისთვის მავლე იმას ხელი?

ქეფე. ის მე პასუხს არ მამლედა და უნდა შემეტყო ეს ის არის თუ არა ..

დედოფალი. უბედურო შილიპე! რამდენი ზრუნვა, რამდენი შრომა გამართებს შენ—რომ ურთიერთობიე ომში ტყუილად არ იღვაროს სისხლი შენი ქვეშევრდომებისა!

ქეფე. ძალიან მოხარული ვარ—რომ სამართალს იძლევი.

დედოფალი. სამართალს ვიძლევიო? მე უფრო დიდი რამეთი მავლეებ, მინამ შენა ფიქრობ. ახლა რას იფიქრებდა სხვა ვინმე დედა-კაცი, იმისთვის რომ ეთქვით: შენი ქმარი დადის ამ სასტუმროში ვილაც ლამაზ ქალთან საარშიყოთ და ამ ქალს ამაღამვე უპირებს მოტაცებასო? ის დაიჯერებდა ხომ, როდესაც შენ აქ გნახავდა მარტოდ მარტოდ, წამდა-უწყამ მისი სახელის ხსენებით, და შენ დაუყარებლივ გადიხანებდა მატყუარას, ფლიდს, ფიცის დამრღვევს.

ქეფე. ღონა ხუნა!

დედოფალი. მაგრამ შენ ამ სიმდაბლემდის ვერ მიხვიდოდი!

ქეფე. ძმარა, სენიორა!

დედოფალი. მე ვხუტამ თვალებს და ვისშობ სმენელობას სინამდილის წინაშე და ვიჯერებ მარტო იმას, რასაც შენ ამბობ.

ქეფე სენიორა!

დედოფალი. უბედურო, განა ვერც კი მიმხედარხარ, რომ მე დაქვინი?

ქეფე. თქვენი მაგვეარი გაბედულობა მაკვირვებს. თქვენ ხომ არა ფიქრობთ დავემონო იმ ურცხვ მზრუნველობას, რომელიცა გსურთ თქვენ ჩემზე იქონილთ?

დედოფალი. თქვენ ხომ არა გგონიათ უდაუსჯელად დავეჩაგვრინო ვისმე?

ქეფი. ღამშვიდით.

დედაფაღა. მე დავმშვიდდებ? მაგვარი დარიგება ურიგო არ არის სხვა დროს, ეხლა კი როდესაც ჩემი აქ მყოფობით მიზანს ვერ მიგისწევია, შენ იტანჯები და მე კი ბედნიერთა ვთვლი ჩემს თავს. მხლა ძაწის შენი გული, მე კი ვიღღესასწაულებ. მწუხარებასაცა ჰქონია თვისი შვება და სასოწარკვეთილებას—ღასას-რული.

ქეფი. ღაფიქრდი. შენი უჭკუო ქცევანი სხვა ნაი-რად გაიტანება საჯაროდ და მე პატივი ამეხდება.

დედაფაღა. შენ ჰმდამ კიდეც საკუთარ პატი-ოსნებაზე ლაპარაკს? ჩემი პატიოსნება? მამა კაცის პა-ტიოსნება! მან ჩვენ ორიენი ერთად არ უნდა ვზრუ-ნადდეთ ჩვენს სათნოებაზე, მოვალეობაზე და პატიოს-ნებაზე? სირცხელი და სათნოება მარტოკა დედა-კა-ცისთვის არ გაუჩენია ღმერთს!

ქეფი. შენ ძალიან შემცდარი ხარ, თუ ფიქრობ, რომ მაგვარი ქცევით შეიძლება მეუღლისადმი სიყ-ვარულის დამსახურება.

დედაფაღა. მე ეხლა ერთი და მწადიან: შამი-ძულე მე, და რადგანაც ჩემი სიყვარული შენთვის სასჯელია, მე ღლითი-დღე უფრო-და-უფრო მეყვარები.

ქეფი. მე შენი ჩემდამი სიყვარული, სენიორა, უფრო სულღობას, შემოლილობას წააგავს. მაგვარი სიყვარული ქვეყნისგან კილვას მეელის.

დედაფაღა. ჩემი შენდამი სიყვარული კილვას მეელის? ღიან: დედა-კაცს რომ უყვარდეს საყვარელი —ეს არაფერია, მაგრამ ეს კი გასაოცარია მრავალ წელიწადობით ცოლს რომ თავისი ქმარი უყვარდეს, განა? უკანონო, ბიწიერი სიყვარული—აი სიყვარული ეს არის, კანონიერი და წმინდა—ეგ ხომ სიყვარული არ არის, ეს სისულელეა, სიგიჟე, შემოლილობა!

ქეფი. ღაბრუნდით, სენიორა, ტუღელოში, კა-ცებს გაგაყოლებთ.

დედაფაღა. ღა მერე?

ქეფი. თქვენ იძულებულსა მხლით ზომები მივი-ლო...

დედაფაღა. ბუტანლობა ყოველთვის თავხელო-ბასთან არის ხოლმე შეერთებული.

ქეფი. ბიმეორებთ რომ თქვენ გარეგნობა გატ-ყუებთ...

დედაფაღა. შენ ენაზე მუდამ ტყუილი ვაკერია. ქეფი. ხომ ჰხედამ თქვენ რა რიგად მაჯავრებთ და მე ყველა ამას ვითმენ.

ქეფი. მამ თქვენ გინდათ მართალი გაიგოთ? ჰური დამიგდეთ: თქვენი სიყვარული ერთი ტვირთია, რომლის ტარება მე არ ძალმიძს.

დედაფაღა. ღა მომისმინე შენც: მე შენ მიყ-ვარხარ!

ქეფი. ბაჩუმდით, სენიორა. მე იმ მანდილოსან-თანა მსურს წასვლა.

დედაფაღა. როგორ შეგიძლიან?

ქეფი. ასე მსურს.

დედაფაღა. ნუ მაიძულებთ, რომ შენი უსირც-ხო საქციელი სუყველას გაეგებინო.

ქეფი. თქვენ აქ მარტოკანი ხართ ჩემთან.

დედაფაღა. ღავეყირებ.

ქეფი. თქვენ ყვირილზე ყურსაც არავინ გაიბერტ-ყავს

დედაფაღა. მნახოთ! მოდით აქ! მომეშველე-ნით!

ქეფი. ღაფიქრდით, აბა რასა შერებით.

დედაფაღა. მს არ გინდოდა!

ქეფი. ბაჩუმდი, უბედურო!

დედაფაღა. უშველეთ, დაეხმარეთ დედოფალს!

ღონ ღღჯარი. (გამოჩნდება თავის ოთახის კარებ-ში და დედოფალს იცნობს) ზეცავ! ამას რას ეხედამ; ავაზაკო (იშიშველებს ხმაღს და შიღიღებს მივარდება).

დედაფაღა. (მფარება მეფეს) ახ! მინა ხართ თქვენ? რა გინდათ?

ღონ ღღჯარი. მისი სიკეღიღი!

ქეფი. (ხმღის ეჭვს მოავლებს ხეღს) საზიზ-ღარო!

დედაფაღა. მისი სიკეღიღი! უნდა მოჰკლა? არა, ჯერ მომკალით მე! გამოშორდით! მე ვიცნობ ამას, ამას მე ვპატიობ! დაიხოქეთ, კაპიტანო, დაიხოქეთ! მს ჩემი მეუღლეა, მეფე!


ღონ ღღჯარი. (დაიხოქებს მეფის წინ) მეფე!

ღღჯარი. (გამოდღს თავის ოთახიღდან და ღამ-ფით ხეღში კარიღორში გამოვა) დედოფალი!

(ქეფი ხმღის ეჭვს დაადებს ხეღსა და კაპიტანს აცქერდება მუქარით; დედოფალი შემინებული იფა-რავს მეფეს: ღონ აღუარი რამოდენიმე მანძილზე და-ჩიოქიღია და თვისი ხმაღი დედოფღის წინ დაუგღია, აღღარა მადღაა, შუა კარიღორში; ღონა მღღიღია იმ კარებშია, საიღგანაც გავეღა).

ს. ნ—თ—ქესა.

დასასრული მკორე აქტისა.



რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.